

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities**

**ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 149-ე
წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია**

**Scholarly Conference in Honour of the 149th
Anniversary of the Birth of Ivane Javakhishvili**

თეზისები/Abstracts

**აპრილი 23-24 April
თბილისი 2025 Tbilisi**

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

Scientific and Organizational Committee of the Conference:

Professor Darejan Tvaltvadze

Associate Professor Ekaterine Navrozashvili

Doctor of Philology Nino Popiashvili

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2025

ISBN 978-9941-36-345-0 (pdf)

**ტიფლისიდან ერივანამდე:
ეკატერინა ლაჩინოვას უცნობი ხელნაწერი**

**From Tiflis to Yerevan:
The Unknown Manuscript of Ekaterina Lachinova**

დალი კანდელაკი
Dali Kandelaki

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: რუსი მწერლები, ეკატერინა ლაჩინოვა, საქართველო, სომხეთი, XIX საუკუნე

Keywords: Russian writers, Ekaterina Lachinova, Georgia, Armenia, 19th century

ეკატერინა ლაჩინოვას (1810–1896) მიერ 1839 წელს დაწერილი ნარკვევი – „გზა ტიფლისიდან ერევანამდე. ერევანი 1839 წელს. ეჩმიადინის მონასტერი“ – უნიკალური ისტორიული და ლიტერატურული წყაროა, რომელიც ასახავს კავკასიის რეგიონის XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოს. მწერალი 1836–1840 წლებში კავკასიაში იმყოფებოდა მეუღლესთან, კავკასიის ცალკეული კორპუსის გენერალ ნიკოლაი ემილიანის ძე ლაჩინოვთან ერთად. ურთიერთობები სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების მაღალ წრეებთან მას საშუალებას აძლევდა, ახლოდან დაკვირვებოდა რეგიონში მიმდინარე მოვლენებსა და იმპერიულ პოლიტიკას. ე. ლაჩინოვა ასევე ცნობილია ფსევდონიმით „ე. ხამარ-დაბანოვ“, რომლის სახელითაც 1844 წელს გამოაქვეყნა „ხრიკები კავკასიაში“ – რომანი-პამფლეტი, რომელიც კავკასიის ომის სამხედრო მოვლენების ერთგვარი ქრონიკაა.

რუსულად დაწერილი ნარკვევი მწერალმა თავადვე თარგმნა ფრანგულად და 1840 წლის მაისში ინგლისელ მოგზაურს, ანნა ლისტერს (1791–1840), თბილისში ყოფნისას აჩუქა. ეს ხელნაწერი 2022 წელს ბრიტანეთის ეროვნულ არქივში რუსმა ხელოვნებათმცოდნე ოლგა ხოროშილოვამ აღმოაჩინა და რუსულად თარგმნა, რომელიც 2024 წელს გამოაქვეყნა ლიტერატურათმცოდნე ვალენტინა მალახოვამ წიგნში – „გოროდიშკო“. ე. ლაჩინოვას ნარკვევი ქართულ ენაზე არაა თარგმნილი და უცნობია სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისთვის.

მწერალი დეტალურად აღწერს თბილისიდან ერევანამდე მოგზაურობას, გზის ბუნებრივ ლანდშაფტს, დასახლებებსა და არქიტექტურულ ძეგლებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ერევნის სარდარის სასახლის, ეჩმიადინის მონასტრის და, ზოგადად, სომხეთის ისტორიული მემკვიდრეობის აღწერას. ავტორი მოგვითხრობს ერევნის ციხესიმაგრეზე, რომელიც 1827 წელს რუსებმა სპარსელებთან ომში დაიკავეს, ხოლო სარდარის სასახლე, სადაც იმხანად რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ადმინისტრაცია იყო განთავსებული, დაწვრილებით არის დახასიათებული. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სასახლის სარკვებიან დარბაზს, რომელიც შაჰებისა და სპარსელი გმირების პორტრეტებით იყო მორთული.

ნარკვევში აღწერილია ერევანში რუსი იმპერატორის, ნიკოლაი I-ის, ყოფნის ეპიზოდები: ეკატერინა ლაჩინოვამ სარდარის ყოფილ სასახლეში აღმოაჩინა კედელში ჩასმული ჩარჩო, რომლის შუშის ქვეშაც იმპერატორის მიერ დატოვებული წარწერა იყო: „ნიკოლაი, 1837 წლის 5 ოქტომბერი“. მწერალი აღნიშნავს, რომ სომხებმა ეს წარწერა შუშით დაფარეს და შენარჩუნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს.

ე. ლაჩინოვას მონათხრობში აღწერილია მისი ვიზიტი ერევნის მეჩეთებში, რომელთაგან ერთ-ერთი უკვე არსენალად იყო გადაკეთებული, მეორე კი კვლავ ფუნქციონირებდა. მან ვერ მოახერხა გეგარტის მონასტრის მონახულება, თუმცა აღწერს მას ადგილობრივების მონაყოლზე დაყრდნობით.

ეჩმიადინის მონასტრისკენ მოგზაურობისას პროვინციის მმართველმა რუსი გენერლის მეუღლეს ოცი მუსლიმი მხედრისგან შემდგარი დაცვა გააყოლა. მწერალი დეტალურად აღწერს მონასტრის არქიტექტურას, ბიბლიოთეკას, სტამბას, სასულიერო სემინარიას, სატრაპეზოსა და სასაფლაოს. მან ნახა მონასტრის გალერეაში გამოფენილი რუსეთის იმპერატორის, გენერალ გოლოვინის, თავად პასკევიჩისა და ბარონ როზენის პორტრეტები. მოგზაური შეხვდა 80 წლის კათოლიკოსს და დაესწრო ღვთისმსახურებას, რომელსაც ბერძნული და კათოლიკური ტრადიციების ნაზავად მიიჩნევს.

ნარკვევში მოყვანილია ინფორმაცია იმ რუსი ოფიცრების მემორიალის შესახებ, რომლებიც 1828 წელს ეჩმიადინის დაცვისას სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპნენ. მწერალი ასევე აღწერს რეგიონის ეკონომიკას, სადაც ბამბისა და ბრინჯის წარმოება სომხეთის პროვინციის მთავარ რესურსებად არის მოხსენიებული.

ეკატერინა ლაჩინოვას ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა XIX საუკუნის კავკასიის ისტორიის, რუსეთის იმპერიული პოლიტიკისა და რეგიონში მცხოვრები ხალხების კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისთვის. რუსი მწერლის თხზულება, გარკვეულწილად, იმპერიული პროპაგანდის ელემენტებსაც შეიცავს – რუსული ადმინისტრაციის პოლიტიკა დადებითად არის წარმოჩენილი, ხოლო ადგილობრივი კულტურისადმი დამოკიდებულება ზოგჯერ ზედაპირულია. მიუხედავად ამისა, ეს ნარკვევი მნიშვნელოვან ადგილს იკა-

ვებს როგორც სამოგზაურო ლიტერატურაში, ასევე რეგიონის შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებში. ტექსტი არა მხოლოდ ავსებს იმ პერიოდის კავკასიაზე დაწერილ ნაშრომებს, არამედ ეკატერინა ლაჩინოვას, როგორც მგრძნობიარე დამკვირვებლისა და მწერლის, უნარებსაც წარმოაჩენს.

The essay “The Road from Tiflis to Erivan. Erivan in 1839. The Monastery of Etchmiadzin”, written in 1839 by Ekaterina Lachinova (1810–1896), is a unique historical and literary source that reflects the social, political, and cultural environment of the Caucasus region in the late 1830s. The writer resided in the Caucasus between 1836 and 1840 with her husband, General Nikolai Emilianovich Lachinov of the Separate Caucasian Corps. Her close connections with high-ranking civil and military officials allowed her to observe regional events and imperial policies firsthand. Lachinova is also known by her pseudonym, “E. Khamar-Dabanov”, under which she published the novel-pamphlet “Escapades in the Caucasus” in 1844, a kind of chronicle of the military events of the Caucasian War.

The essay, originally written in Russian, was translated into French by the author herself and gifted in May 1840 to the English traveler Anne Lister (1791–1840) during her stay in Tbilisi. In 2022, this manuscript was discovered in the British National Archives by Russian art historian Olga Khoroshilova and translated it into Russian. It was subsequently published in 2024 by literary scholar Valentina Malakhova in the book “Gorodishko”. E. Lachinova’s essay has not been translated into Georgian and is unknown to representatives of the scientific field.

The writer provides a detailed description of her journey from Tbilisi to Erivan, depicting the natural landscape, settlements, and architectural monuments along the way. Special attention is given to the description of the Sardar’s Palace in Erivan, the Monastery of Etchmiadzin, and Armenia’s historical heritage in general. The author recounts the history of Erivan Fortress, which was captured by the Russians from the Persians in 1827, and extensively characterizes Sardar’s Palace, which at the time housed the Russian imperial administration. Of particular note is the Mirror Hall, decorated with portraits of shahs and Persian heroes.

The essay also includes an episode about Emperor Nikolai I's visit to Erivan: Ekaterina Lachinova discovered a framed inscription embedded in the wall of the former Sardar's Palace, protected under glass, which read: "Nikolai, October 5, 1837." She notes that the Armenians preserved this inscription under glass, attributing great significance to it.

E. Lachinova describes her visit to Erivan's mosques, one of which had been converted into an arsenal, while the other remained in use. She was unable to visit Geghard Monastery herself but recounts its description based on local accounts.

On her journey to the Monastery of Etchmiadzin, the provincial governor assigned her an escort of twenty Muslim horsemen. The writer provides a detailed description of the monastery's architecture, library, printing house, theological seminary, refectory and cemetery. She saw portraits of the Russian Emperor, General Golovin, Prince Paskevich, and Baron Rosen displayed in the monastery gallery. Traveler also recounts her meeting with the 80-year-old Catholicos and attended a religious service, which she describes as a blend of Greek Orthodox and Catholic traditions.

The essay also mentions the memorial dedicated to Russian officers who perished defending Etchmiadzin from the Persians in 1828. Additionally, the writer describes the region's economy, noting cotton and rice as the principal products of Armenia's province.

Ekaterina Lachinova's work is an important source for studying the history of the Caucasus in the 19th century, Russian imperial policy, and the cultural heritage of the region's peoples. Her text, to some extent, contains elements of imperial propaganda – portraying Russian administration in a positive light while sometimes approaching local culture with a superficial perspective. Nevertheless, this essay occupies a significant place not only in travel literature but also among historical sources on the region. It not only complements other contemporary works about the Caucasus but also highlights Ekaterina Lachinova's keen observational skills and literary talent.